



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29.05.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 20 ივნისი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტის მაგისტრი 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული (21.07.2014, №155)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა თუთბერიძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ლობჯანიძე, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ბურჯანაძე, ნიუ ვიჟენ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. სამაგისტრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, ხოლო დასაშვები ხანგრძლივობა შეადგენს 5 წელს. პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 90 ECTS კრედიტის მოცულობით, რომელთაგანაც 85 ECTS კრედიტი არის სავალდებულო, ხოლო 5 ECTS კრედიტი ეკუთვნის 3 არჩევით სასწავლო კურსს, საიდანაც სტუდენტი ირჩევს ერთს. სამაგისტრო ნაშრომს/პროექტს ეთმობა 30 ECTS კრედიტი. თითოეულ სემესტრში სტუდენტს შეუძლია დააგროვოს 20 ECTS კრედიტი. სულ ჯამში სტუდენტმა უნდა გაიაროს 120 ECTS, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც მაგისტრანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, ქეისის ანალიზი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 29 მაისს თბილისში პაატა სააკაძის ქუჩა №1-ში. ვიზიტამდე 28 მაისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (გოჩა თუთბერიძე, მანანა ლობჯანიძე) 12 საათიდან და 16 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა მომდევნო დღეებში ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

29 მაისს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან (ვიცე რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია I, II, III, IV და V სტანდარტებთან.

▪ რეკომენდაციები

სასწავლო კურსი „ფინანსები მენეჯერებისათვის“ თავისი შინაარსით და ლიტერატურით არის შესავალი კურსი ფინანსურ აღრიცხვაში და ამ სახით არ პასუხობს მეორე საფეხურის მოთხოვნებს. აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს, შეიცვალოს თემატიკა, ლიტერატურა და ის უნდა მოვიდეს მეორე საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აკადემიური წერა, რომელიც არის არჩევითი სასწავლო კურსი უმჯობესია შეთავაზებულ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში.

- სასურველია ასევე გაიზარდოს პროგრამის ფარგლებში არჩევითი კურსების რაოდენობა;
 - სასურველია „კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს გასაჩივრების კომისიისგან მიღებული დასკვნის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ბოლო აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში ცვლილებები შევიდა, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში, კერძოდ, კურსების შემადგენლობასა და შინაარსში. შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სგანამანათლებლო პროგრამაში შევიდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორც არის: დამქირავებლის ბრენდის მართვა, ცვლილებების დაგეგმვა და მართვა, ქცევის მეცნიერება, ექსპორტის მენეჯმენტი, მენეჯმენტ კონსალტინგი, ფინანსები მენეჯრებისათვის.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის მენეჯმენტში მიზნებია სტუდენტს შესძინოს დარგის თეორიული ცოდნა და შეასწავლოს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების გზები და ამით მოამზადოს კონკურენტუნარიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; განუვითაროს მმართველობითი უნარები თანამედროვე კონკურენციისა და ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, რამდენადაც ნებისმიერი სფეროს წარმატება დამოკიდებულია მმართველთა პროფესიულ მომზადებასა და შესაბამისი მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფასეულობების ადეკვატურ ცოდნაზე; განუვითაროს მენეჯმენტის სპეციალისტისთვის სავალდებულო უნარები, რომლითაც ნათლად შეაფასებს ინდივიდის როლს მენეჯერულ საქმიანობაში როგორც ერთიანი გუნდის წევრის, ასევე პირადი შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების კუთხით; ხელი შეუწყოს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლას; გაულრმავოს გლობალური მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, დემოკრატიულობა და ჰუმანური ფასეულობები და განუმტკიცოს მოქალაქეობრივი ღირებულებები.

პროგრამის მიზნები შეესაბამება კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისიაში ასახულ ხედვებს, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას და უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე

კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.

პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის შეფასება და ამის საფუძველზე უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა, სადაც დეტალურად, ინდიკატორების მეშვეობით არის გაწერილი პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის და კავკასიის ბიზნესის სკოლის მისია, მიზნები და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ბიზნესის სკოლის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია
- ვებგვერდი www.cu.edu.ge
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით მოიცავს მეორე საფეხურის შესატყვის ძირითად ცოდნას და უნარებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. სწავლის შედეგები ითვალისწინებს დარგის თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც შემუშავდა პროგრამის განახლებული მიზნებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე. შეფასების მექანიზმში აღწერილი სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და იძლევა შესაძლებლობას დადგინდეს თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. შეფასების მექანიზმში აღწერილი და გამოყენებულია როგორც პირდაპირი ასევე არაპირდაპირი მეთოდები. კერძოდ: პირდაპირი შეფასებისას ხორციელდება დაკვირვება პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების მაჩვენებელზე და სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელზე პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. არაპირდაპირი მეთოდის ინსტრუმენტებად გამოიყენება პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა დინამიკა;

მობილობის მაჩვენებელი; კურსამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, მათ შორის იმ მიმართულებების მიხედვით რომლის არჩევის შესაძლებლობაც ეძლევა სტუდენტს; სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები. შემუშავებული მექანიზმის საფუძველზე მოხდება პროგრამის პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგად საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება ცვლილებების შეტანა პროგრამის შინაარსში და/ან სწავლის შედეგებში და/ან შეფასების სისტემაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგები;
- პროგრამის მიზნები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გაწერილია პროგრამაში, ასევე კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, ასევე საერთო სამაგისტრო გამოცდაზე აპლიკანტისთვის სავალდებულოა B ტიპის ტესტის ჩაბარება. დაშვების

<p>წინაპირობად გამოცხადებულია ინგლისური ენის ცოდნა, რაც შესაბამისობაში მოდის სასწავლო მიზნებთან და შედეგებთან. დაშვების წინაპირობები არის საჯარო და შეფასებებიც მიეწოდებათ აპლიკანტებს. აპლიკანტები საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ პროგრამაზე მისაღებად აბარებენ შიდა ტესტს ინგლისური ენის და ზოგადი უნარების შესამოწმებლად და გადიან გასაუბრებას სკოლის მიმღებ კომისიასთან. პროგრამაზე მოქმედებს შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების გაცემის შესაძლებლობა, რომელშიც მონაწილეობის მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: დასრულებული ჰქონდეს საბაკალავრო პროგრამა ნებისმიერი უნივერსიტეტის და ბაკალავრიატის ჯამური ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) უნდა ჰქონდეს 3,5 და მეტი. ასეთ შემთხვევაში, აპლიკანტი მონაწილეობას იღებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებაში, სადაც ჯამური 100 ქულიდან გამსვლელი ქულა არის 90 ქულა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ „მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში“; ○ ინფორმაციის გავრცელება საინფორმაციო შეხვედრებზე, ბროშურების დარიგება, სოციალური ქსელის გამოყენება ○ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია www.cu.edu.ge ○ „მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში“ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ ინტერვიუს შედეგები პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა შედგენილია კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შესახებ დამტკიცებული წესის შესაბამისად, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამაგისტრო პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს და ასევე ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს მიიღოს თანამედროვე თეორიული საკითხების ცოდნა, კონცეფციები და მიდგომები და ასევე გაიუმჯობესოს ის უნარები, რაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის. პროგრამის სასწავლო კომპონენტები დაყოფილია ისე, რომ სწავლის საწყის ეტაპზე სტუდენტები შეისწავლიან მენეჯმენტის ზოგადი მიმართულების კონცეფციებსა და თეორიებს, ხოლო ამ კომპონენტების გავლის შემდეგ კი იღებენ უფრო კონკრეტულ ცოდნას მენეჯმენტის მიმართულებებში. პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა პროგრამის სტრუქტურის მიმართ გვაქვს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ, ვფიქრობთ, რომ სასწავლო კურსი „ფინანსები მენეჯერებისათვის“ თავისი შინაარსით და ლიტერატურით არის შესავალი კურსი ფინანსურ აღრიცხვაში და ამ სახით არ პასუხობს მეორე საფეხურის მოთხოვნებს; აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს, შეიცვალოს თემატიკა, ლიტერატურა და ის უნდა მოვიდეს მეორე საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში; ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სასწავლო კურსი ანალოგიური დასახელებით

ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში, სადაც ის თავისი შინაარსით წარმოადგენს შესავალ კურსს ფინანსურ მენეჯმენტში. აკადემიური წერა, რომელიც არის არჩევითი სასწავლო კურსი უმჯობესია შეთავაზებულ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში;

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების წესი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან;
- ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები);
- ვებგვერდი;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

რეკომენდაციები:

სასწავლო კურსი „ფინანსები მენეჯერებისათვის“ თავისი შინაარსით და ლიტერატურით არის შესავალი კურსი ფინანსურ აღრიცხვაში და ამ სახით არ პასუხობს მეორე საფეხურის მოთხოვნებს. აღნიშნული სასწავლო კურსი უნდა გადამუშავდეს, შეიცვალოს თემატიკა, ლიტერატურა და ის უნდა მოვიდეს მეორე საფეხურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

აკადემიური წერა, რომელიც არის არჩევითი სასწავლო კურსი უმჯობესია შეთავაზებულ იქნას სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკში.

სასურველია ასევე გაიზარდოს პროგრამის ფარგლებში არჩევითი კურსების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის სასწავლო კურსების შედეგები ბმაშია პროგრამის შედეგებთან, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში. სასწავლო კურსების მიმართება პროგრამის სწავლის შედეგებთან ასახულია დაბალ, საშუალო და მაღალ შკალაზე, თუ რომელ შედეგთან რა მიმართება აქვს სასწავლო კურსებს. ასევე განსაზღვრულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები პროგრამის შედეგებთან მიმართებაში. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გამოყენებულია როგორც შეფასების ინდიკატორები და ასახულია შედეგების შეფასების მექანიზმში.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მთლიანობაში, პროგრამის სასწავლო კომპონენტები უზრუნველყოფენ უმაღლესი

განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრული დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული კომპეტენციების მიღწევას - სტუდენტთა პროფესიული და ეთიკური ღირებულებების გააზრებას სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,

სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების გამოცდილებისა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო კურსები მოიცავს პრაქტიკულ და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებს. კერძოდ, სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილი მოიცავს პრაქტიკული ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტის მომზადებას და პრეზენტაციას, რომლის მომზადებაც სტუდენტს უვითარებს რეალურ ბიზნეს გარემოში მარტივად ადაპტაციისა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისთვის საჭირო უნარებს. დამსაქმებელ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის და თანამშრომლობის შედეგად ხდება სხვადასხვა სახის დამატებით აქტივობებსა და პროექტებში სტუდენტების ჩართვა მათი სურვილის მიხედვით, თუმცა აღსანიშნავია რომ სტუდენტების დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე, ისინი დასაქმებულები არიან და შესაბამისად ნაკლები დრო რჩებათ ექსტრაკურსულურ აქტივობებში ჩასართავად. ასეთ შემთხვევაში, პრაქტიკად შესაძლოა ჩავთვალოთ მათი არსებული სამსახურეობრივი მოვალეობები, რომლებსაც ასრულებენ და რა კარიერული წინსვლა აქვთ პროგრამის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- დისკუსია/დებატების მეთოდი;
- შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;

<ul style="list-style-type: none"> • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი; • გონებრივი იერიშის (Brain storming) მეთოდი; • სწავლების დედუქციური მეთოდი, ანალიზის მეთოდი; • სინთეზის მეთოდი. <p>სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში და მორგებულია სასწავლო კურსის მიზნებსა და შედეგებზე.</p> <p>უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და წესი. შესაბამისად, სასწავლო პროგრამაც ითვალისწინებს ამ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ მითითებებს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული დებულების მიხედვით („დებულება სტუდენტთა სტატუსის შესახებ“ - 12/06/2018). აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამაზე არსებული ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი ეფუძნება უნივერსიტეტის დებულებას, რომელს მიხედვითაც - დასკვნით გამოცდამდე საგანში სწავლის შედეგები შესაფასებლად გამოყენებული შუალედური შეფასებების ჯამური ქულა უნდა იყოს 70, ხოლო დასკვნითი გამოცდის ქულა - 30, ხოლო რაც შეეხება სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს - ფასდება 100 ქულით, ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით (კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულება - მუხლი 16).

სტუდენტის ინფორმირებულობა თითოეულ საგანმანათლებლო კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების ფორმების, კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ დეტალურად არის ასახული შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (MY CU).

კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის შედეგების გასაჩივრების პროცედურები, აღნიშნული მოიცავს კომისიის შექმნას, რომელიც ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის

პროცესს. დებულებაში არ არის განსაზღვრული კომისიის სავარაუდო შედეგები და შემდგომი რეაგირების მექანიზმები. სასურველია „კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს კომისიისგან მიღებული დასკვნის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- დებულება გამოცდების ჩატარების წესის შესახებ;
- დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია „კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულებაში“ დეტალურად ჩამოყალიბდეს კომისიისგან მიღებული დასკვნის შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) <p>სტუდენტები საჭირო ინფორმაციას იღებენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემის გამოყენებით, ვებ-გვერდისა და უნივერსიტეტის</p>

ადმინისტრაციასთან შეხვედრების მეშვეობით.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროფესორებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და ბიბლიოთეკასთან უწყვეტ რეჟიმში აქვთ კომუნიკაცია და ისინი მარტივად იღებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას. (მაგ.: ელ. მასალებზე წვდომა, პროგრამის დაგეგმვა, სიახლეებზე წვდომა და ა.შ). სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი დაინტერესებულია სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით და სათანადო რეაგირების საკითხით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის საფუძველზე, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ინფორმირებულნი არიან/იყვნენ გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტების ძირითადი ნაწილი დასაქმებულია და ამ მიზეზით ვერ ერთვებიან საუნივერსიტეტო აქტივობებში, მაგრამ ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ისინი იღებენ უნივერსიტეტის შეთავაზებებს ჩაერთონ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი გაწერილია კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრატურის დებულების მიხედვით, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო თემის დამტკიცების, მომზადების, წარდგენისა და დაცვის შესახებ. აღნიშნული დებულების მიხედვით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს

- უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- საქართველოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი დარგის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი;
- პრაქტიკული გამოცდილების მქონე დარგის სპეციალისტი.

